

ბ/ბ 0102 50050. 35. 107. 016273
3/თ 15. 11. 2017წ



საქართველო
ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო

№5000საქართველო, ჩხოროწყუ,
დ. აგმაშენბელის ქ. №1
☎0(417) 22-01-28.

Georgia
Chkhorotsku
Municipality
Council

№5000Georgia, Chkhorotsku,
D. Agmashenebeli st. #1
☎0(417) 22-01-28.



დადგენილება №41

2017 წლის 10 ნოემბერი

დ.ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 2 ოქტომბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 2 ოქტომბრის №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/10/2017 სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.107.016267) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა) მე-2 და მე-6 მუხლებიდან ამოღებულ იქნას მინაწერი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ნოემბრის №41 დადგენილება ვებგვერდი 15.11.2016 წელი“;

ბ) მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) არსებითად იცვლება გეოგრაფიული ობიექტის ფუნქციური დანიშნულება ან კატეგორია;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე /ზესიკ ესებუა/

